

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგაბა.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	12
6. შემოსავალი რეალიზაციიდან	13
7. თვითღირებულება	13
8. სხვა შემოსავალი	13
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
10. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	14
11. ძირითადი საშუალებები.....	15
12. არამატერიალური აქტივები.....	16
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები	16
14. გაცემული სესხები.....	16
15. საგადასახადო აქტივი.....	17
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
17. ფული და ფულის ექვივალენტები	18
18. კაპიტალი	19
19. მიღებული სესხები.....	19
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
21. პირობითი ვალდებულებები.....	20
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	20
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	23
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	23
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	24
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	24
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	24
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ორბი ბეტონი“-ს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ორბი ბეტონი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ორბი ბეტონი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიწის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 4,143,772 და 4,610,624 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 456,481 და 382,918 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნა/ვალდებულებების ნაშთის არსებობასა, სისრულესა და სიზუსტეზე 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად, 1,527,415 და 2,523,934 ლარს, და 1,243,392 და 2,353,214 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიამ დააიდენტიფიცირა გასული პერიოდის შეცდომები და ასახა რეტროსპექტულად. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი გადაანგარიშებული მოწაცემები შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის რასაც მოითხოვს მე-10 განყოფილება სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ 2021 წლის აუდიტის ფარგლებში შევამოწმეთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში წარდგენილი შესწორებები, რაც ეხება შესადარის პერიოდში წარდგენილ შედეგებს. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენ არ ჩავვითარებთ კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 1 სექტემბერს გამოთქვა უპირობო მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 22-25 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 ნოემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 ნოემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შპს „ორბი ბეტონი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	14,155,567	15,970,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(13,854,914)	(15,046,884)
საერთო მოგება		300,653	923,442
სხვა შემოსავალი	8	31,404	100,613
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(914,599)	(783,852)
აქტივების გაუფასურების ხარჯი		98,142	(1,891,786)
საოპერაციო ზარალი		(484,400)	(1,651,583)
ფინანსური შემოსავალი		29,798	126,045
ფინანსური ხარჯი		(365,820)	(286,990)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	126,551	(274,321)
ზარალი დაბეგვრამდე		(693,871)	(2,086,849)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(693,871)	(2,086,849)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამირან მეფარიშვილი
დირექტორი

შპს „ორბი ბეტონი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	14,155,567	15,970,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(13,854,914)	(15,046,884)
საერთო მოგება		300,653	923,442
სხვა შემოსავალი	8	31,404	100,613
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(914,599)	(783,852)
აქტივების გაუფასურების ხარჯი		98,142	(1,891,786)
საოპერაციო ზარალი		(484,400)	(1,651,583)
ფინანსური შემოსავალი		29,798	126,045
ფინანსური ხარჯი		(365,820)	(286,990)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	10	126,551	(274,321)
ზარალი დაბეგვრამდე		(693,871)	(2,086,849)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(693,871)	(2,086,849)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ნოემბერს:



ამირან მეფარიშვილი
დირექტორი

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	4,745,441	5,212,293
არამატერიალური აქტივები	12	92,543	8,131
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,837,984	5,220,424
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	456,481	382,918
გაცემული სესხები	14	340,550	329,898
საგადასახადო აქტივი	15	-	79,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	1,527,415	1,243,392
ფული და ფულის ექვივალენტები	17	68,205	848,576
სულ მიმდინარე აქტივები		2,392,651	2,883,915
სულ აქტივები		7,230,635	8,104,339
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	200	200
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	18	(224,779)	469,092
სულ კაპიტალი		(224,579)	469,292
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	17,960	-
მოკლევადიანი სესხები	19	4,913,320	5,281,833
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,523,934	2,353,214
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,455,214	7,635,047
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,230,635	8,104,339

შპს „ორბი ბეტონი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	200	2,555,941	2,556,141
მიმდინარე წლის ზარალი	-	(2,086,849)	(2,086,849)
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	200	469,092	469,292
მიმდინარე წლის ზარალი	-	(693,871)	(693,871)
31 დეკემბერი 2021	200	(224,779)	(224,579)

შპს „ორბი ბეტონი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(693,871)	(2,086,849)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	602,010	461,713
ფინანსური ხარჯი	365,820	286,990
ფინანსური შემოსავალი	(29,798)	(126,045)
აქტივების გაუფასურების ცვლილება	(98,139)	1,891,786
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	(52,600)
საკურსო ზარალი/(მოგება)	(126,551)	274,321
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე	19,471	649,316
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(73,563)	(86,593)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა აქტივებში	(294,702)	900,908
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	97,091	(57,588)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	171,339	(495,192)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(80,364)	910,851
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(80,364)	910,851
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(43,660)	(1,661,733)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	184,275
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(175,910)	(1,303)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(219,570)	(1,478,761)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება/დაფარვა	(455,133)	1,417,272
ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა	-	(399,275)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(455,133)	1,017,997
ნეტო შემცირება/(ზრდა) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(755,067)	450,087
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	848,576	407,603
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(25,304)	(9,114)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	68,205	848,576

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ორბი ბეტონი“ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა 2010 წლის 1 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 448382090.

ძირითადი საქმიანობა. სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, მეჯინისწყალის დასახლება. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 50% წილს ფლობდა ზაზა ზოიძე. ხოლო დარჩენილი 50%-ს მალხაზ ბერიძე. კომპანიის დირექტორები არიან მალხაზ ბერიძე და ამირან მეფარიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში, ხოლო ღირებულებები ერთეულში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. კომპანიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ გასული ორი წლის ფინანსური შედეგი იყო უარყოფითი და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს დაუფარავი ზარალი 224,779 ლარის ოდენობით. საერთო მოგების შემცირება დაკავშირებულია კორონავირუსის გამო სამშენებლო სექტორში საქმიანობის მასშტაბების ხელოვნურ შეზღუდვასთან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საოპერაციო შედეგებზე. 2022 წლიდან, პანდემიის შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ სამშენებლო სექტორის გააქტიურებამ გააუმჯობესა კომპანიის საოპერაციო შედეგები. მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური შედეგები უზრუნველყოფს საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას და ვალდებულებების დაფარვას ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)**

ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და

ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებები:

ძირითადი საშუალებები - მენეჯმენტმა ხელახლა იმსჯელა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებაზე და მიიჩნია რომ გასულ პერიოდში მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადები ვერ ასახავდა აქტების მომსახურების პოტენციალს და შესაბამისად შეიტანა კორექტირებები. აღნიშნული შესწორებები აისახა რეტროსპექტულად. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით კორექტირების თანხამ შეადგინა 335,603 ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - მენეჯმენტმა ხელახლა იმსჯელა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის შექმნილ ანარიცხებზე და მიიჩნია, რომ არსებობს 1,726,024 და 1,625,844 ლარის ოდენობით მოთხოვნაზე ანარიცხის შექმნის საჭიროება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და წლის ბოლოს თარიღისთვის. აღნიშნული კორექტირების თანხამ 2020 წელს შეადგინა 100,180.

საგადასახადო აქტივი/სავაჭრო და სხვა ვალდებულებები - მოხდა არაარსებითი ცვლილების ასახვა.

გაცემული სესხები - მენეჯმენტმა ხელახლა იმსჯელა გაცემული სესხების გაუფასურებაზე და მიიჩნია, რომ არსებობს გაუფასურების ნიშნები. შესაბამისად 2020 წელს საჭირო გახდა 1,991,966 ლარის ოდენობით ანარიცხის შექმნა, ხოლო გაუფასურების მომენტიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე დარიცხული საპროცენტო შემოსავლი 134,046 ლარის ოდენობით გაუქმდა.

გრძელვადიანი სესხები - კომპანიამ დააიდენტიფიცირა ისეთ სესხზე დარიცხული პროცენტი, რომლის ძირი თანხაც უკვე გადახდილი იყო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად მოახდინა აღნიშნული სასესხო ვალდებულებების აღირებს შეწყვეტა.

რეკლასიფიკაციები - ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის პრინციპის უზრუნველყოფისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარმოდგენის მიზნით გაკეთებულია რეკლასიფიკაციები ბალანსის და მოგება-ზარალის მუხლებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილია კორექტირებების ეფექტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	კორექტი- რება	რეკლასი- ფიკაცია	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4,474,167	335,603	402,523	5,212,293
არამატერიალური აქტივები	8,131	-	-	8,131
აქტივის გამოყენების უფლება	402,523	-	(402,523)	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,884,821	335,603	-	5,220,424
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	382,918	-	-	382,918
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,757,159	(1,625,844)	112,077	1,243,392
საგადასახადო აქტივი	75,820	3,311	-	79,131
გადახდილი ავანსები	112,077	-	(112,077)	-
გაცემული სესხები	1,344,689	(2,430,817)	1,416,026	329,898
მისაღები პროცენტები	1,416,026	-	(1,416,026)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	848,576	-	-	848,576
სულ მიმდინარე აქტივები	6,937,265	(4,053,350)	-	2,883,915
სულ აქტივები	11,822,086	(3,717,747)	-	8,104,339
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	200	-	-	200
გაუნაწილებელი მოგება	3,932,155	(3,463,063)	-	469,092

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

სულ კაპიტალი	3,932,355	(3,463,063)	-	469,292
გრძელვადიანი ვალდებულებები				-
გრძელვადიანი სესხები	3,868,254	(254,004)	(3,614,250)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,868,254	(254,004)	(3,614,250)	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	50,000	-	5,231,833	5,281,833
ფინანსური იჯარის ვალდებულება	107,637	-	(107,637)	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,617,583	-	(1,617,583)	-
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	18,209	-	(18,209)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,228,048	(680)	125,846	2,353,214
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,021,477	(680)	3,614,250	7,635,047
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	11,822,086	(3,717,747)	-	8,104,339

ქვემოთ წარმოდგენილია კორექტირებების ეფექტი 2020 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში:

	2020	კორექტი- რება	რეკლასი- ფიკაცია	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	15,980,495	-	(10,169)	15,970,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,967,763)	-	(2,079,121)	(15,046,884)
საერთო მოგება	3,012,732	-	(2,089,290)	923,442
პერსონალის ხარჯი	(1,415,910)	-	1,415,910	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(47,958)	-	47,958	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(79,715)	-	79,715	-
იჯარის ხარჯი	(37,337)	-	37,337	-
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(419,367)	-	419,367	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(335,994)	(135,124)	471,118	-
სხვა შემოსავალი	-	3,991	96,622	100,613
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(558,095)	-	(225,757)	(783,852)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	(1,891,786)	-	(1,891,786)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	118,356	(2,022,919)	252,980	(1,651,583)
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	52,599	-	(52,599)	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	190,797	-	(190,797)	-
სხვა ფინანსური შემოსავალი	269,675	(134,046)	(9,584)	126,045
სხვა ფინანსური ხარჯი	(289,873)	2,883	-	(286,990)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(273,817)	(504)	-	(274,321)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	67,737	(2,154,586)	-	(2,086,849)
მოგების გადასახადი	-	-	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	67,737	(2,154,586)	-	(2,086,849)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
31 დეკემბერი 2020	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში. კომპანია ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აღრიცხავს თვითღირებულებით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (თუ არის), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ქვეყნდება ინვესტირებული საწარმოს კოტირებული ფასები. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე, თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოიქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალეზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სპეც. ტექნიკა	15
მანქანა დანადგარები	20
საოფისე ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10-15
სხვა აქტივები	20

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივად 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. კომპანია აღრიცხავს შემდეგი სახის შემოსავლებს: შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან და სხვა შემოსავალი.

მასალების რეალიზაცია ხდება იურიდიულ პირებზე, ძირითადად დაკავშირებულ მხარეებზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას საწყობიდან.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს ან/და გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება საკმარისი რწმუნება იმისა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს თანხას.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ბეტონის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	12,307,847	15,157,783
სხვა სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1,060,842	241,874
ბეტონის გადატუმბვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	757,146	543,358
სხვა	29,732	27,311
სულ	14,155,567	15,970,326

7. თვითღირებულება

თვითღირებულება მოიცავს ქვიშა-ღორღის, ცემენტის და სხვა დანამატების შესყიდვის ფასს, ტრანსპორტირების ხარჯს, ხელფასის ხარჯს, საწვავის ხარჯს, ცვეთას და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

8. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020 (გადაანგარიშებული)
საშემოსავლო შეღავათიდან მიღებული შემოსავალი	24,003	37,844
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	7,401	10,169
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	52,600
სულ	31,404	100,613

2021-2020 წლებში კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური ეფექტის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება გარკვეულ სახელფასო განაცემებზე საშემოსავლო გადასახადის განულების შესახებ. საშემოსავლო შეღავათი გავრცელდა მაისიდან-ოქტომბრის თვის ჩათვლით და დეკემბრის თვეებში. აღნიშნული დამჭირავებლისთვის წარმოადგენს შეღავათს, რომელიც აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში როგორც შემოსულობა სახელმწიფო დახმარების სახით და შესაბამისად, შეადგენდა 24,003 და 37,844 ლარს.

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ხელფასის ხარჯი	(837,324)	(688,705)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(15,692)	(4,237)
მივლინების ხარჯი	(14,448)	(18,465)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,630)	(7,941)
სხვა	(40,505)	(64,504)
სულ	(914,599)	(783,852)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

2021 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სულ
დადებითი ეფექტი	1,456	3,950	185,089	636,367	826,862
უარყოფითი ეფექტი	(26,760)	(3,331)	(313,053)	(357,167)	(700,311)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(25,304)	619	(127,964)	279,200	126,551

2020 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები	მიღებული სესხები	სულ
დადებითი ეფექტი	15,538	13,311	579,257	422,837	1,030,943
უარყოფითი ეფექტი	(24,652)	(67,180)	(298,381)	(915,051)	(1,305,264)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(9,114)	(53,869)	280,876	(492,214)	(274,321)

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	მიწა	სპეც. ტექნიკა	მანქანა-დანადგარები	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	601,669	2,751,055	2,313,744	42,447	25,158	37,979	5,772,052
შემოსვლა	-	1,579,140	3,868	5,892	-	-	1,588,900
გასვლა	-	(131,675)	-	-	-	-	(131,675)
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	601,669	4,198,520	2,317,612	48,339	25,158	37,979	7,229,277
შემოსვლა	-	1,597	2,280	15,060	19,670	5,053	43,660
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	601,669	4,200,117	2,319,892	63,399	44,828	43,032	7,272,937
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	-	(693,258)	(885,657)	(27,245)	(10,294)	(31,103)	(1,647,557)
ცვეთის ხარჯი	-	(173,640)	(259,234)	(6,748)	(1,915)	(724)	(442,261)
გასვლა	-	72,834	-	-	-	-	72,834
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	-	(794,064)	(1,144,891)	(33,993)	(12,209)	(31,827)	(2,016,984)
ცვეთის ხარჯი	-	(240,222)	(259,054)	(6,547)	(3,685)	(1,004)	(510,512)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(1,034,286)	(1,403,945)	(40,540)	(15,894)	(32,831)	(2,527,496)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	601,669	3,404,456	1,172,721	14,346	12,949	6,152	5,212,293
31 დეკემბერი 2021	601,669	3,165,831	915,947	22,859	28,934	10,201	4,745,441

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ნაშთი შეადგენდა 85,991 ლარს (2020: 76,188 ლარი).

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ლიცენზია	საოფისე პროგრამები	სულ არამატერიალური აქტივები
1 იანვარი 2020	207,060	2,209	209,269
შემოსვლა	1,307	-	1,307
გასვლა/ჩამოწერა	(191,375)	-	(191,375)
31 დეკემბერი 2020	16,992	2,209	19,201
შემოსვლა	175,910	-	175,910
31 დეკემბერი 2021	192,902	2,209	195,111
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2020	(181,215)	(1,778)	(182,993)
ამორტიზაციის ხარჯი	(19,308)	(144)	(19,452)
გასვლა	191,375	-	191,375
31 დეკემბერი 2020	(9,148)	(1,922)	(11,070)
ამორტიზაციის ხარჯი	(91,354)	(144)	(91,498)
31 დეკემბერი 2021	(100,502)	(2,066)	(102,568)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	7,844	287	8,131
31 დეკემბერი 2021	92,400	143	92,543

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ქვიშა-ხრეში-ლორღი	297,941	143,718
ბეტონის წარმოებისთვის საჭირო დანამატები	97,145	69,718
სათადარიგო ნაწილები	-	67,537
საწვავი	24,364	17,617
ცემენტი	22,589	61,208
სხვა	14,442	23,120
სულ	456,481	382,918

14. გაცემული სესხები

სესხები გაცემულია დამფუძნებლებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. გაცემული სესხების ხელშეკრულების პირობები წლების მიხედვით წამოდგენილია ქვემოთ:

გაცემული სესხები:	%	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფიზიკურ პირებზე	20%	დოლარი	მოთხოვნამდე	2,223,601	2,321,769
ფიზიკურ პირებზე	20%	ლარი	მოთხოვნამდე	281,039	281,037
				2,504,640	2,602,806

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	2,602,806	2,195,885
საპროცენტო შემოსავალი	29,798	126,045
საკუროს სხვაობის ეფექტი	(127,964)	280,876
საბოლოო ნაშთი, ბრუტო	2,504,640	2,602,806
გაუფასურების ანარიცხი	(2,164,090)	(2,272,908)
საბოლოო ნაშთი, ნეტო	340,550	329,898

სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება, 108,818 ლარის ოდენობით, დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში არსებული სესხის კურსის ცვლილებასთან.

15. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგებისგადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
მოთხოვნები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან	2,928,902	2,757,159
გადახდილი ავანსები	235,036	112,077
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,163,938	2,869,236
მოთხოვნები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან	(1,570,687)	(1,560,008)
გადახდილი ავანსები	(65,836)	(65,836)
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(1,636,523)	(1,625,844)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	1,527,415	1,243,392

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ვადაგადაცელების დღეები	< 90	90 - 180	181 - 270	271 - 360	>360	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მოთხოვნები	1,161,174	204,415	45,369	84,180	1,433,764	2,928,902
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	-	(51,104)	(22,684)	(63,135)	(1,433,764)	(1,570,687)
	0%	25%	50%	75%	100%	63%

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	< 90	90 - 180	181 - 270	271 - 360	>360	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მოთხოვნები	1,122,749	65,067	8,652	85,104	1,475,587	2,757,159
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	-	(16,267)	(4,326)	(63,828)	(1,475,587)	(1,560,008)
	0%	25%	50%	75%	100%	63%

მოდრაობა უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვში:

1 იანვარი 2020	(1,726,024)
წლის დარიცხვა	-
რეზერვის გამოყენება	100,180
31 დეკემბერი 2020	(1,625,844)
წლის დარიცხვა	(10,679)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2021	(1,636,523)

ინდივიდუალურად და ჯგუფურად გაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021			31 დეკემბერი 2020		
გაუფასურებაზე შეფასებული	ინდივიდუალურად	ჯგუფურად	სულ	ინდივიდუალურად	ჯგუფურად	სულ
მთლიანი ღირებულება	235,036	2,928,902	3,163,938	112,077	2,757,159	2,869,236
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(65,836)	(1,570,687)	(1,636,523)	(65,836)	(1,560,008)	(1,625,844)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	169,200	1,358,215	1,527,415	46,241	1,197,151	1,243,392

17. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული ეროვნულ ვალუტაში	585	287
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	67,620	848,289
სულ	68,205	848,576

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1-ელ შენიშვნაში.

2021 წელს კომპანიას არ გამოცხადებია და გაუცია დივიდენდი. (2020: 0 ლარი).

19. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	1,819,549	2,219,035
დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	3,093,771	3,062,798
სულ	4,913,320	5,281,833

მიღებული სესხების ხელშეკრულების პირობები წლების მიხედვით წამოდგენილია ქვემოთ:

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	8%	2022-2025	1,819,549	2,219,035
დაკავშირებული იურიდიული პირისგან	დოლარი	12%	ვადადამდგარი	2,997,323	2,972,490
დაკავშირებული იურიდიული პირისგან	ლარი	13%	ვადადამდგარი	96,448	90,308
სულ				4,913,320	5,281,833

სესხზე მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	5,281,833	3,085,356
სესხის აღება	-	2,237,917
სესხის გადახდა	(455,133)	(820,644)
საპროცენტო ხარჯი	365,820	286,990
საკუროს სხვაობის ეფექტი	(279,200)	492,214
საბოლოო ნაშთი	4,913,320	5,281,833

კომპანიას მიღებულ სესხებთან დაკავშირებით აქვს ფინანსური კოვენანტები, რომლებიც 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაკმაყოფილებული. ფინანსური კოვენანტები სტატუსების შესაბამისად წარმოდგენილია ქვემოთ:

	სტატუსი
Debt to EBITDA <3.0	არ არის დაკმაყოფილებული
DSCR (P&L Based) > 1.3x	არ არის დაკმაყოფილებული
DSCR (CFASDS Based) > 1.05x.	არ არის დაკმაყოფილებული
ICR > 3x	არ არის დაკმაყოფილებული

ვინაიდან, დარღვეული კოვენანტების გამო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდა სესხის სრულად მოთხოვნის უფლება, კომპანიამ მიღებული სესხი სრულად წარადგინა როგორც მიმდინარე ვალდებულება. მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ადრეული გადახდის ვალდებულება არ დაუდგება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	2,323,813	2,228,048
მიღებული ავანსები	20,615	-
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან	-	107,637
სხვა ვალდებულებები	179,506	17,529
სულ	2,523,934	2,353,214

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	დაკავშირების სახე	2021	2020
შემოსავლები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	1,577,462	616,468
ადმინისტრაციული და დისტრიბუციის ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	83,288	96,325
საპროცენტო შემოსავლები	დამფუძნებელი	29,798	126,045
საპროცენტო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	194,607	204,812

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	170,715	6,915
სავაჭრო ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	1,742,196	1,368,136
გაცემული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	2,321,770	2,223,601
მიღებული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები	3,093,771	3,062,798

შპს „ორბი ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	699,311	570,561

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები.

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ორბი ბეტონი“ (ს/ნ: 448382090) ძირითადი საქმიანობაა ბეტონის წარმოება. კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 01 ნოემბერს. ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება და ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. წონიარისი, იურდიული მისამართი : ქ. ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები არიან:

მალხაზ ბერიძე, 61006008539 - 50%

ზაზა ზოიძე, 26001001546 - 50%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის დირექტორები არიან:

მალხაზ ბერიძე, 61006008539, საქართველო

ამირან მეფარიშვილი, 33001019445, საქართველო

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ბეტონის წარმოებას და ანალიზს, ღორღიანი და ქვიშიანი კარიერების გადამუშავებას, სატრანსპორტო გადაზიდვას და სამშენებლო მასალების რეალიზაციას.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021	2020
ბეტონის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	12,307,847	15,157,783
სხვა სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1,060,842	241,874
ბეტონის გადატუმბვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	757,146	543,358
სხვა	29,732	27,311
სულ	14,155,567	15,970,326

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 14,155,567 ლარი, რაც 11%-ით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მონაცემზე.

ძირითადი კოეფიციენტები:	2021	2020
სულ შემოსავალი	14,155,567	15,970,326
სულ აქტივები	7,230,635	8,104,339
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	69	63
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.32	0.38
გროს მოგების მარჟა	2%	6%
მარაგების ბრუნვა	12	9
დებიტორების ბრუნვა	39	25
კრედიტორების ბრუნვა	66	57

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ორბი ბეტონი“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 65 დან 73-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

შპს „ორბი ბეტონი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები. კომპანიას გაყიდვების სიტემა აქვს დივერსიფიცირებული და არ ყავს რომელიმე ერთი დომინირებული კლიენტი.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება და რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020	გადახრის ახსნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,155,567	15,970,326	შენიშვნა 1
საკურსო მოგება/(ზარალი)	126,551	(274,321)	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

არსებული შემცირება უკავშირდება მოთხოვნის შემცირებას კონტრაქტორების მხრიდან, რომლებიც 2020 წელს 2021 წელთან შედარებით უფრო აქტიურ მშენებლობის ფაზაში იმყოფებოდნენ.

შენიშვნა #2:

2021 წელს 2020 წელთან შედარებით დასტაბილურდა ვალუტის კურსის ცვლილებები, ვალუტის კურსის გამყარებამ დადებითი გავლენა იქონია კომპანიის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ შედეგზე, ვინაიდან კომპანიას უცხოურ ვალუტაში აქვს გაცემული და მიღებული სესხებისა და ფულის ექვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთები.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ზრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,689	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2)%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას მიღებული სესხი მხოლოდ დაკავშირებული მხარისგან და შესაბამისად არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამირან მეფარიშვილი

დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,689	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2)%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას მიღებული სესხი მხოლოდ დაკავშირებული მხარისგან და შესაბამისად არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ნოემბრის:

ამირან მეფარიშვილი
დირექტორი

